ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,

ჯემალ ბიბილეიშვილის 2023 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

2022 წლის აპრილში გავხდი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი პოლიტიკური პარტია "ქართული ოცნებიდან". ამასთან ამირჩიეს საკრებულოს: ეკონომიკის, ქონების მართვისა და კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიების წევრად. აქტიურად ვმონაწილეობდი ორივე კომისიის მუშაობაში, დავესწარი კომისიის ყველა და საკრებულოს რიგით და რიგგარეშე სხდომას.

აქტიურად ვარ ჩართული მოქალაქეებთან შეხვედრებში, რომელიც დაკავშირებულია ახალგაზრდული საჭიროებებისა და პრობლემების მოგვარებასთან, კერძოდ:

ვარ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების მიერ გამოცხადებული კონკურსის კომისიების წევრი, როგორიცაა: ახალგაზრდული ინიციატივების მხადრაჭერა და ქუთაისელი ახალგაზრდების ლიდერთა სკოლაში მონაწილეობა.

ვესწრები და შესაბამისი სერტიფიკატებით ვაჯილდოვებ, მიმდინარე წელს ახალგაზრდული ინიციატივების მხადრაჭერის პროგრამიდან დაფინანსებული ინიციატივების პროექტებს, ისეთები როგორიცაა: „სოციალური პლატფორმა სტარტაპერებისთვის“,„საზაფხულო კინო სკოლა ქუთაისელი ახალგაზრდებისათვის“,„სამოქალაქო თავდაცვა და სიმულაციური სწავლება“,„ახალგაზრდები მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის“, „ციფრული კომპეტენციების განვითარება ახალგაზრდებში“, „გასტრონომიული ფესტივალი და ადგილობრივი მუსიკოსების საღამო“, „გააუმJOBესე შენი მომავალი“, „ახალგაზრდების ინფორმირებულობა ჩართულობის გზით“ , „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის პერსონალური ასისტენტების მომზადება და სერვისის პილოტირება ქუთაისის მუნიციპალიტეტში“, „მომავლის პროფესიები - მომავალი თეობებისთვის“. დაფინანსებული ინიციტივების საერთო ბიუჯეტმა შეადგინა 130 000 ლარი.

ჩართული ვიყავი ზამთრის და ზაფხულის ლიდერთა სკოლების ორგანიზებაში, სადაც ქუთასიში მცხოვრებმა 14-29 წლამდე 200 მდე ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა, ამ მიმართულებით ბიუჯეტიდან 65 000 ლარი გამოიყო, ახალგაზრდები სკოლის დასრულების შემდეგ დაჯილდოვდნენ შესაბამისი სერტიფიკატებით.

2023 წელი გამორჩეული იყო ქუთაიში გამართული ფესტივალების რაოდენობით და ხარისხით, 9-10 ივნისს 2 დღის მანძილზე, მუხნარის ტყე-პარკში ჩატარდა ახალგაზრდული მუსიკის ფესტივალი სახელწოდებით „როკაია“ რომელშიც 10 მდე ადგილობრივი და მოწვეული მუსიკალური ბენდები იღებდა მონაწილეობას, ფესტივალს 10 000 მდე მაყურებელი დაესწრო.

ასევე აქტიურად ვიყავი ჩართული 20 სექტემბერს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზებით ჩატარებულ ახალგაზრდულ ფესტივალზე, რომელიც გულისხმობდა ყველა იმ კომპონენტის გათვალისწინებას, რაც ახალგაზრდებს გაუზრდის ინფორმირებულობას განივითაროს დასაქმების /შემეცნების /გართობის შესაძლებლობები ლოკალურ დონეზე და არა მარტო, ფესტივალში მონაწილეობას იღებდა ადგილობრივი სტარტაპერი მეწარმეები, ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები და ქალაქში არსებული სახელმწიფო უნივერსიტეტები, ფესტივალში ჩართული იყო 120 ქუთაისელი მოხალისე.

ვთანამშრომლობ ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა არასმთავრობო და სამოქალაქო ორაგნიზაციებთან, აღსანიშნავია, რომ მათ მიერ ინიცირებული პროექტის და ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა ახალი ინსტიტუცია: ახალგაზრდა მრჩეველთა საბჭო, 27 წევრის შემადგენლობით.

სწორედ აღნიშნული საბჭოს ინიციატივით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება და სკოლის მოსწავლეებისათვის მუნიციპალური ტრანსპორტი გახდა აბსოლუტურად უფასო, შესაბამისად გაიზარდა სატრანსპორტო კომპანიის დოტაცია, ვფიქრობ, რომ აღსანიშნავია ის ინიციატივა რაც უკავშირდება მოსწავლეთა უფასო მგზავრობას, რომლის მოგვარების საკითხი საკრებულოს ყველა წევრის აქტიური მონაწილეობით გადაწყდა.

ჩემთვის, როგორც საკრებულოს წევრისთვის და უბრალოდ მოქალაქისთვის პრიორიტეტულია მოქალაქეების დასაქმების ხელშეწყობის საკითხი, ახალგაზრდებთან შეხვედრისა და გასაუბრების შემდეგ ამ მიმართულებით ერაერთი საკითხი გადაწყდა დადებითად.

საგულისმოა ის ფაქტი, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა აქტიურად უწყობს ხელს ქუთასელი ახალგაზრდების საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში მათი მონაწილეობის მხარდაჭერას, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდებს შესაძლებლობა აქვთ სხვადასხვასაერთაშორისო პროექში დაუფინანსდეთ ტრანსპორტირების თანხა.

მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე წელს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტმა, საქართველოს პარლამენტთან ერთად, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარაჭერით შეიმუშავა სპორტის განვითარების კონცეფცია. ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს სპორტის იმგვარი პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებას, რომელიც ემსახურება ინკლუზიური ადგილობრივი საზოგადოების გაძლიერებას, მის კეთილდღეობასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. კონცეფციის სტრატეგიული პრიორიტეტები და მიზნები განისაზღვრა დაინტერესებულ მხარეებთან გამართული კონსულტაციების, ჩატარებული თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების, აგრეთვე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თითმმართველობის მონაწილეობით გამართული სამუშაო შეხვედრების შედეგების გათვალისწინებით. ქალაქ ქუთაისის სპორტის პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტის სიღრმისეული ანალიზი, საბაზისო მონაცემები, პოლიტიკის სუსტი და ძლიერი მხარეები, რისკები და შესაძლებლობები, აგრეთვე პოლიტიკის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები წარმოდგენილია 2023 წელს მომზადებული კვლევის ანგარიშში „ქუთაისის სპორტის პოლიტიკის ანალიზი", აღნიშნული კონცეფციის პრიორიტეტს წარმოადგენს, ახალგაზრდების, ქალების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჯანსაღი ცხოვრების წესით დაკავება და მათ საზოგადოებივ და სამოქალაქო ცხოვრებაში აქტიურ ინტეგრაციას.

საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიას საანგარიშო პერიოდში ჩატარებული აქვს 11 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 11 საკითხი.

კომისია აქტიურადაა ჩართული როგორც კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის მიმართულებით სხდასხვა აქტივობებსა და ღონისძიებებში, ასევე საზედამხედველო ფუნქციებიდან გამომდინარე მათ მონიტორინგში. ის მნიშვნელოვანი ფუნდამენტი ჩვენი კომისიის მუშაობისა, რომელსაც ჯერ კიდევ შარშან ჩაეყარა საფუძველი და რომელიც კულტურის განვითარების სტრატეგიას გულისხმობს, აქტუალობასა და მნიშვნელობას სძენს ყველა კულტურული ღონისძიების დაგეგმვის, განხორციელებისა და კონტროლის ეფექტური მექანიზმის ამუშავების პროცესს.

კომისიის ყურადღების არეში მოექცა ადგილობრივი ბიუჯეტით განსაზღვრული კულტურის პროგრამის განხორციელების ხელშეწყობის საკითხები. კულტურის პროგრამიდან წლის განმავლობაში ფინანსური მხარდაჭერა აქვთ არტისტებსა და ქურუმებს, მხატვრებს, ადგილობრივ თეატრებსა და ანსამბლებს. საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით ქუთაისელი მწერლებისა და პოეტების ნაშრომების გამოცემის ფარგლებში გამოიცა ცირა შალაშვილისა და თეიმურაზ ლანჩავას ერთტომეულები, ასევე ელისო ქაროსანიძის კრებული. დაფინანსდა რეზო გაბრიაძის წიგნის „ჩემი პატარა ქალაქი" ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში.

ქუჩის მხატვრობის „სტრიტ არტის“ ფარგლებში 2023 წელს მოიხატა 4 ლოკაციაზე 6 კედელი, ხოლო გასულ წელს ჯილდოს სახით გაიცა თანხა 2 გამარჯვებულ ესკიზის ავტორზე.

ქ. ქუთაისში ქართული ხალხური ფოლკლორული ტრადიციების აღორძინების, ქართული ხალხური ფოლკლორის პროპაგანდისა და განვითარების მიზნით ხანდაზმულთა ფოლკლორული ანსამბლი „ბერმუხა“ დაფინანსდა ყოველთვიური ხელფასით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში. ქუთაის-გაენათის ეპარქიას მემორანდუმის საფუძველზე გაეწია მხარდაჭერა კომუნალური, ინფრასტრუქტურული და სხვა საჭიროებების დაფინანსების კუთხით.

თეატრალური კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნების, თეატრალური ხელოვნების განვითარებისა და ინოვაციური პროექტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს, მ. ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრს, ქუთაისის ნიღბებისა და პანტომიმის თეატრს, ი. გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიულ სახელმწიფო თეატრს გამოეყო თანხა მემორანდუმის ფარგლებში ქუთაისის თეატრების ფუნქციონირების მხარდაჭერის ქვეპუნქტიდან.

„ქუთაისქალაქობა 2023“ ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა აქტივობები, კონცერტები, საერთაშორისო ტურისტული ბაზრობა, თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფორუმი „ქარავან არტ ფორუმი ქუთაისი 2023“ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეული მხატვრების, ფოტოხელოვანების, ხელოვნებათმცოდნეების და კურატორების მონაწილეობით (საქართველო, საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, პოლონეთი, ესტონეთი, ლიტვა, უკრაინა და საბერძნეთი).

ვინაიდან მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტია ქუთაისში მცხოვრები ნიჭიერი შემოქმედი ადამიანის ხელშეწყობა , მიმდინარე წელს განხორციელდა ფოტოპროექტი „ბოდიფონტი“ დავით კაკაბაძის სახვითი ხელოვნების გალერეაში; 3 საკონცერტო ღონისძიება, დაფინანსდა 1 მოკლემეტრაჟიანი და 1 დოკუმენტური ფილმის გადაღება ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის ფარგლებში, 1 სატელევიზიო პროექტი, გაიხსნა ქუთასის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ვარსკვლავი.

განათლების მიმართულებით, ყურადსაღებია განსაკუთრებული წარმატებების მქონე ახალგაზრდების წახალისება სტიპენდიით, 12 სტუდენტს წლის განმავლობაში ყოველთვიურად ერიცხება 300 ლარი. დღემდე განხორციელდა ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა კალიგრაფიის კონკურსი; ნუგეშა გაგნიძის საჯარო ლექცია თემაზე „გრიგოლ რობაქიძის ლირიკა“; ინტელექტუალური კონკურსი ჩატარდა როგორც ბრეინ-რინგის, ასევე ჯეპარდის მიმართულებით. საჯარო სკოლების VIII-IX-X კლასების 120 წარმატებული მოსწავლისთვის მოეწყო საზაფხულო ბანაკი სამ ნაკადად დაბა ბაკურიანში .

აღსანიშნავია ასევე, რომ ქუთაისის უნივერსიტეტების 7 სტუდენტი სწავლას განაგრძობს საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში, რომელთა ტრანსპორტირების დაფინანსება მოხდა ქალაქის ბიუჯეტიდან.

მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა, მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. ახალგაზრდული პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ამ მიზნით, ადგილობრივ ბიუჯეტში გამოიყო 130 000 ლარი, რომლის ფარგლებში დაფინანსდა ათი ინიციტივა, მათ შორის: („სოციალური პლატფორმა სტარტაპერებისთვის; „საზაფხულო კინო სკოლა ქუთაისელი ახალგაზრდებისათვის"; „სამოქალაქო თავდაცვა და სიმულაციური სწავლება"; „ახალგაზრდები მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის"; „ციფრული კომპეტენციების განვითარება ახალგაზრდებში"; „გასტრონომიული ფესტივალი და ადგილობრივი მუსიკოსების საღამო"; „გააუმჯობესე შენი მომავალი"; „ახალგაზრდების ინფორმირებულობა ჩართულობის გზით"; „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის პერსონალური ასისტენტების მომზადება და სერვისის პილოტირება ქუთაისის მუნიციპალიტეტში"). აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან 65 000 ლარით დაფინანსდა ზამთრისა და ზაფხულის ლიდერთა სკოლები, სადაც 14-29 წლამდე ასაკის 180-მდე ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა.

ტრადიციად იქცა ჩვენს ქალაქში როკმუსიკის ფესტივალის „როკიას" ჩატარება, რომელიც ყოველწლიურად უფრო მასშტაბური ხდება და წელს 10 000-მდე მსმენელი დაესწრო. წელს პირველად, ქუთაისში, ახლადრეაბილიტირებულ ასსაფეხურიან კიბესთან ჩატარდა ქუთაისის ახალგაზრდული ფესტივალი, რომელშიც 120-მდე მოხალისე-ახალგაზრდა მონაწილეობდა, ფესტივალში მონაწილეობა 8 000-მდე ადამიანმა მიიღო. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდული პროგრამის ბიუჯეტიდან ხდება საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში ქუთაისელი ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდაჭერა.

სპორტის ქვეპროგრამის მიზანია სპორტის სხვადასხვა სახეობების წახალისება და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. მნიშვნელოვანია, რომ ქუთაისელ წარმატებულ 35 სპორტსმენს წლის განმავლობაში შედეგების მიხედვით ერიცხება ყოველთვიური სტიპენდია 9860 ლარის ოდენობით, ხოლო ოლიმპიურ ჩემპიონს ყოველთვიურად 1500 ლარი, ასევე ფულადი ჯილდოა დაწესებული საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე გამარჯვებული სპორტსმენების, გამარჯვებული ვეტერანი სპორტსმენებისა და მწვრთნელთათვის. აღსანიშნავია, რომ სპორტის ბიუჯეტიდან აქტიურად ხდება შშმ პირთა ტურნირებში მონაწილეობის მხარდაჭერა.

მიმდინარე პერიოდში ჩატარდა რვა საერთაშორისო და ერევნული ტურნირი, რომელშიც საქართველოს გარდა მონაწილეობენ თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდები.

მოგეხსენებათ, საკრებულოში, საკრებულოს წევრთაგან, შექმნილია საერთო პოლიტიკური შეხედულების მქონე ორი ფრაქცია, რომლებიც საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით ატარებენ საკუთარ კურსს, გამოხატავენ ფრაქციის ერთიან პოზიციას საკრებულოს სხდომებზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით, თავიანთ სხდომებზე იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს ფრაქციის საქმიანობის საკითხებზე. საანგარიშო პერიოდში ფრაქცია „ქართული ოცნების" მიერ ჩატარებულია 8 სხდომა და განხილულია 8 საკითხი. ფრაქციის მიერ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების კონტროლს, მოქალაქეების საჭიროებებზე მორგებული ბიუჯეტის ფორმირებაში აქტიურ მონაწილეობას. ფრაქციის მიერ შემუშავებული და აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის გადაგზავნილი იქნა რამოდენიმე ინიციატივა ქუთაისის ბიუჯეტის პროექტის ფორმირებისას გათვალისწინების მიზნით. სხვადასხვა საკითხებზე, როგორიცაა მრავალშვილიანი დედებისათვის ელექტრო ენერგიის საშეღავათო თანხის ლიმიტის გაზრდის შესახებ; არსებული საბავშვო ატრაქციონების რეაბილიტაციის მიზნით ხარჯების გაზრდის შესახებ; ქალაქში არსებული ბუნებრივი სასულეების მოწესრიგებისა და რეაბილიტაციისათვის ხარჯების გაზრდის შესახებ; M2 კატეგორიის ტრანსპორტის შეძენისა და ახალი სვლა-გეზების დამატების მიზნით ხარჯების გათვალისწინების შესახებ; სანიაღვრე სისტემის მოწესრიგებისათვის თანხის გათვალისწინების შესახებ; სპეცტექნიკის შესაძენად თანხის გათვალისწინების შესახებ.

ფრაქციის სხდომებზე განხილული საკითხებიდან განსაკუთრებით მინდა გამოვყო ინფრასტუქტურის პროექტების მხარდაჭერა და ფრაქციის ინიციატივა სკოლის მოსწავლეებისათვის სამგზავრო შეღავათების დაწესების სესახებ.

აქვე მინდა მოკლედ მოგახსენოთ ქალაქში მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მიერ სერიოზული ღონისძიებები განხორციელდა 2023 წლის 9 თვეში მუნიციპალური და ინფრასტრუქტურული პროგრამების შესრულების მიზნით, კერძოდ:

გზებისა და ტროტუარების რეაბილიტაციის, მშენებლობისა და მოვლა – პატრონობის საბიუჯეტო პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები:

საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში დასრულებულია:

ქალაქის მასშტაბით საავტომობილო და ქვეითთა მოძრაობის მარეგულირებელი შუქნიშნების განახლება. არსებული შუქნიშნების ნაცვლად, ადაპტირებული შუქნიშნების მოწყობა (საქართველოს მთავრობის 16.08.2021 წლის №1419 განკარგულება), რისთვისაც დაიხარჯა 914.6 ათ.ლარი.

ჯიბლაძის ქუჩის გზის რეაბილიტაცია – 122 ათ.ლარი.

ჩეჩელაშვილის ქუჩის გზის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 17.01.2022 წლის №75 განკარგულება) – 809.2 ათ.ლარი;

ვაჟა–ფშაველას ქუჩის მეოთხე შესახვევის დარჩენილი ნაწილის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია – 16 ათ.ლარი;

შოთა რუსთაველის გამზირზე საავტომობილო მოძრაობის ე.წ. „კუნძლებისა“ და „გამყოფი ზოლის“ რეაბილიტაცია – 200 ათ.ლარი;

ხახანაშვილის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 29.12.2022 წლის №2475 განკარგულება) – 280 ათ.ლარი;

ფანჯიკიძის ქუჩის ტროტუარების რეაბილიტაცია-148.0 ათ.ლარი

გუგუნავას ქუჩის №7-თან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია-106.5 ათ. ლარი

ავტომშენებლის გამზირზე ტროტუარების რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 26.12.2022 წლის №2435 განკარგულება) – 444 ათ.ლარი;

მიმდინარეობს:

ზ.გამსახურდიას გამზირის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 29.12.2022 წლის №2475 განკარგულება) – 5 032,8 ათ.ლარი;

ი.ჭავჭავაძის გამზირის ტროტუარების რეაბილიტაცია და მოაჯირების მოწყობა (საქართველოს მთავრობის 26.12.2022 წლის №2435 განკარგულება) – 1 800 ათ.ლარი;

ტენდერზეა ავალიანის ქუჩის №№40, 42, 51 53, 55 სახლებთან მისასველი გზის რეაბილიტაცია-35.2 ათ.ლარი

საგზაო ინფრასტრუქტურის მიმდინარე შეკეთებაზე გამოყოფილია 1120,7 ათ.ლარი, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ასფალტის, ბეტონის საფარის, გრანიტისა და დეკორატიული ფილების საფარის შეკეთების სამუშაოები.

სანიაღვრე სისტემების მშენებლობა – რეაბილიტაციის პროგრამით

გათვალისწინებული სამუშაოები:

პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ბუნებრივი სასულეების ექსპლოატაცია, სადაც პერიოდულად ხდება ბუნებრივი სასულეების ყელის გაწმენდა და რეაბილიტაცია 45,3 ათასი ლარის ფარგლებში.

დასრულებულია:

ტ.ტაბიძის ქუჩის სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 17.01.2022 წლის №75 განკარგულება) – 20.1 ათ.ლარი;

თამარ მეფის ქუჩაზე, აკ. წერეთლის უნივერსიტეტის მიმდებარედ, სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია – 69.6 ათ.ლარი;

წერეთლის ქუჩის №246–ის მიმდებარედ არსებული სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია – 32.4 ათ.ლარი.

ფურცელაძის ქუჩის მეორე შესახვევის სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია – 75.7 ათ.ლარი;

ლუკა ასათიანის ქუჩაზე არსებული სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია-103.3 ათ. ლარი.

აკ. წერეთლის ქუჩის პირველი ჩიხის მიმდებარედ სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია – 28.6 ათ.ლარი;

დეპოს ქუჩის სანიაღვრე ქსელის ფრაგმენტის რეაბილიტაცია – 47.2 ათ.ლარი;

გრიშაშვილის ქუჩაზე დაზიანებული სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია-12,0 ათ.ლარი;

თბილისის ქუჩის N3-ს და N12-ს შორის სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია-90,6 ათ. ლარი.

საყრდენი კედლების მშენებლობა – რეაბილიტაციის პროგრამით განსაზღვრული სამუშაოები:

დასრულებულია:

რუას ქუჩის №16ა–სთან, ნეკრასოვის ქუჩის №6–თან, ქეთევან წამებულის ქუჩის მეორე შესახვევში საყრდენი კედლისა და მოაჯირის მოწყობა – 69.7 ათ.ლარი;

ჭაბუკიანის ქუჩის №3–ში ფერდის დამაგრების სამუშაოები – 126.4 ათ.ლარი;

ისიანის ქუჩაზე №23 საყრდენი კედლის მოწყობა – 18.8 ათ.ლარი;

კიკვიძის ქუჩის №8-სთან საყრდენი კედლის მოწყობა – 133.4 ათ.ლარი;

აკ.წერეთლის ქუჩის მე–3 შესახვევში დაზიანებული საყრდენი კედლის რეაბილიტაცია – 11.8 ათ.ლარი.

ბარნოვის ქუჩის №43-თან საყრდენი კედლის მოწყობა-51.6 ათ ლარი.

ადმინისტრაციული ორგანოების შენობების მშენებლობა რეკონსტრუქცია:

პროგრამის ფარგლებში დასრულებულია:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის შენობის მერიის სველი წერტილების რეაბილიტაცია-40 .0 ათ.ლარი;

ნოდარ დუმბაძის ქუჩის №61–ში მდებარე მერიის სოციალუ¬რ საკითხთა სამსახურის შენობის დერეფნებისა და მიმღები სივრცის რეაბილიტაცია-20.3 ათ. ლარი.

გამწვანებისა და სკვერების კეთილმოწყობის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები:

პროგრამის ფარგლებში დასრულებულია:

„მუხნარის“ ადმინისტრაციულ ერთეულში სკვერის მოწყობა (საქართველოს მთავრობის 17.01.2022 წლის №75 განკარგულება) – 502.3 ათ.ლარი;

შოთა რუსთაველის სკვერის, მდინარე ოღასკურას, ანჯაფარიძის ქუჩაზე საბავშვო ატრაქციონისა და ავტომშენებლის გამზირზე 32–ე საჯარო სკოლის წინ ლითონის შემოღობვის მოწყობა – 75.5 ათ.ლარი;

დუმბაძის ქუჩისა და აღმაშენებლის გამზირის კვეთაზე ე.წ. ნინოშვილის სკვერის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 29.12.2022 წლის №2475 განკარგულება) – 1 560,1 ათ.ლარი;

მიმდინარეობს: ავტოქარხნის სკვერის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 26/122022 წლის №2435 განკარგულება)-3 030.0 ათ.ლარი.

ასევე, მიმდინარეობს ქალაქის გამწვანება, მოვლა–პატრონობა და სკვერების კეთილმოწყობა – 1 066 ათ.ლარის ფარგლებში.

საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით განსაზღვრული სამუშაოები:

პროგრამის ფარგლებში დასრულებულია:

მეოთხე სამუსიკო სკოლის გათბობის სამუშაოები და შიდა რემონტი (საქართველოს მთავრობის 17.01.2022 წლის №75 განკარგულება) –126.8 10.7 ათ.ლარი;

მიმდინარეობს: ცენტრალური სამუსიკო სკოლის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 29.12.2022 წლის №2475 განკარგულება) – 901.4 394.6 ათ.ლარი.

ციფრული განათლებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების ცენტრის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 26/12/2022 წლის N2435 განკარგულება -900,0 ათ.ლარი.

ქალაქ ქუთაისში, ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია:

პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს:

ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე მდებარე მუზეუმის ნაცვლად, რეკრეაციული ინფრაქტრუქტურის (მულტიფუნქციური საგამოფენო სივრცე) მოწყობა (საქართველოს მთავრობის 16.08.2021 წლის №1419 განკარგულება) – 3 872.0 ათ.ლარი;

შეწყდა ხელშეკრულება და განმეორებით ტენდერზე გამოცხადდა ქალაქ ქუთაისში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის (ოქროს ჩარდახი) რესტავრაცია – რეაბილიტაცია – 1055.2 ათ.ლარი.

მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია:

პროექტის ფარგლებში დასრულდა:

ახალგაზრდობის გამზირზე ფასადების რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 16.08.2021 წლის №1419 განკარგულება) – 1 282 ათ.ლარი;

რუსთაველის გამზირზე ფასადების რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 26.12.2022 წლის №2435 განკარგულება) – 3338.0 ათ.ლარი;

ავტომშენებლის გამზირზე საცხოვრებელი ბინების ფასადების რეაბილიტაცია (ნაშთი) – 112.6 ათ.ლარი.

ა.ხორავას ქუჩის №4–ში, №6–სა და №12–ში მდებარე საცხოვრებელი ბინების ფასადების რეაბილიტაცია – 181 ათ.ლარი;

დუმბაძის ქუჩის N2 მრავალსართულიანი სახლის ფასადის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 29/12/2022 წლის №2475 განკარგულება)-228.5 ათ.ლარი

მიმდინარეობს:

შეწყდა ხელშეკრულება ასათიანის ქუჩის №139 მრავალსართულიანი სახლის ფასადის რეაბილიტაციაზე (საქართველოს მთავრობის 29.12.2022 წლის №2475 განკარგულება) – 183,4 ათ.ლარი;

მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარება:

პროექტის ფარგლებში ანაზღაურდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების აღჭურვა ელექტრონული საინფორმაციო ტაბლოებით (საქართველოს მთავრობის 16.08.2021 წლის №1419 განკარგულება) – 879.6 ათ ლარი.

სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება:

მიმდინარეობს:

გაფრინდაშვილის ქუჩის №10–სა და გაფრინდაშვილის ქუჩის მეოთხე ჩიხის №3–ს შორის საყრდენი კედლის მოწყობა (საქართველოს მთავრობის 26.01.2022 წლის №131 განკარგულება) – 259.0 ათ.ლარი;

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 20.01.2023 წლის №116 განკარგულებით გამოიყო 2000.0 ათ.ლარი. მათ შორის, სახურავის შესაკეთებელი მასალა გადაეცა 591 ობიექტს: 282 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას და 309 კერძო პირს. 1 337,4 ათ.ლარით დაფინანსდა 49 ერთეული დაზიანებული სახურავის შეკეთებითი სამუშაოებზე, რომელიც დასრულებულია.

სხვადასხვა სახეობის სპორტულ – გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა – რეაბილიტაცია – ექსპლოატაცია:

დასრულებულია:

ხარებავას ქუჩის №1–ის მიმდებარედ, მინი მოედნისა და მცირე რეკრეაციული ინფრაქტრუქტურის მოწყობა –34.3 ათ.ლარი; ლადო ასათიანის ქუჩის მე–5 ჩიხში მდებარე სტადიონის („მარაკანა“) რეაბილიტაცია – 91.6 ათ.ლარი; ლესელიძის ქუჩაზე, ჯომარდობის ხელშეწყობის მიზნით, სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა (საქართველოს მთავრობის 16.08.2021 წლის №1419 განკარგულება) – 718.2 ათ.ლარი; №17 სპორტული სკოლის, ძიუდოს დარბაზის ორი სართულის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 17.01.2022 წლის №75 განკარგულება) – 251.6 ათ.ლარი; მინდვრის ჰოკეის მოედნის მშენებლობა (საქართველოს მთავრობის 16.08.2021 წლის №1419 განკარგულება) – 301,9 ათ.ლარი; კლდეზე ცოცვის სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა (საქართველოს მთავრობის 16.08.2021 წლის №1419 განკარგულება) – 44.1 ათ.ლარი; საჭადრაკო სკოლის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 29.12.2022 წლის №2475 განკარგულება) – 534,9 ათ.ლარი;

მიმდინარეობს:

ნიჩბოსნობის სკოლის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 29.12.2022 წლის №2475 განკარგულება) – 1000,9 ათ.ლარი;

მემორიალური დაფებისა და ძეგლების მოწყობა

პროგრამის ფარგლებში დასრულებულია: 4 საინფორმაციო და 4 მემორიალური დაფა- 10,0 ათ ლარი.

ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით თავისუფალი ინიციატივების განხორციელება

პროგრამის ფარგლებში დასრულებულია: ხელოვნური ბალახის შესყიდვა-5.0 ათ. ლარი; ჩოგბურთის კორტეების ადმინისტრაციული შენობის რემონტი-214.6ათ. ლარი; აღმაშენებელის გამზირის №125-ში ფანჩატურის მოწყობა- 15.2 ათ. ლარი; შოთა რუსთაველის გამზირის №106-ში მდებარე კოლონადისა და მიმდებარე სკვერის რეაილიტაცია- 88.8 ათ. ლარი; ისტორიულ ძეგლ;ებზე საინფორმაციო დაფების დამზადების, მათზე QR კოდების დატანისა და განსაზღვრულ ლოკაციაზე მოწყობა-24.4 ათ. ლარი; ავალიანის ქუჩის №40,42,51 , 53,55 სახლებთან გზის საფარის მოწყობა(დარჩენილი ნაწილი)-36.5 ათ. ლარი; წერეთლის ქუჩის №192-ის მიმდებარედ სანიაღვრე ჭის რეაბილიტაცია -6.0 ათ. ლარი; კაუჩიკის ფილის შესყიდვა-10.0 ათ. ლარი; დიზელ - გენერატორის სახელმწიფო შესყიდვა-20.8ათ. ლარი; ზ.კუხიანიძის ძეგლის უკან არსებული კედლის აღდგენა -16.0ათ. ლარი; გრიშაშვილის ქუჩაზე სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია- 12.0ათ. ლარი;

1. სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლების ავარიული საცხოვრებელი სახლების ავარიული სახურავების რეაბილიტაცია

დამზადდა საპროექტო-სახარჯთარიცხვო დოკუმენტაცია 12 საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციის მიზნით

2. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია

დასრულებულია:

4 ლიფტის რეაბილიტაცია მისამართებზე: თაბულსაშვილის N179-ში (1-ლი სად.), მელიქიშვილის N10 (1-ლი სად.), გრ. აბაშიძის N2 (1-ლი სად.), ბუხაიძის N11 (1-ლი სად.) – 96,4 ათასი ლარი.

მიმდინარეობს:

4 ლიფტის რეაბილიტაცია მისამართებზე: სულხან-საბას N69 (მე-4 სად.), ბუკიას N1 (მე-4 სად.), ზ. ჭავჭავაძის N6 (მე-3 სად.), ხარებავას N9ბ (1-ლი სად.) – 108,3 ათასი ლარი.

3. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების ფურნიტურა

დასრულებულია:

ავტომშენებლის 1-შეს.N8-ში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობისთვის ფანჩატურის მოწყობა - 4,7 ათასი ლარი (2022 წლის ვალდებულება).

4. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების წყალსაწრეტი მილებისა და პარაპეტების რეაბილიტაცია

დასრულებულია:

სარაჯიშვილის N51-ში (კულტურული მემკვიდრეობა) პარაპეტის რეაბილიტაცია - 16,2 ათასი ლარი (2022 წლის ვალდებულება).

მიმდინარეობს:

ავტომშენებლის N10, ავტომშენებლის 1-შეს. N2, ნიკეას ქ. N19/96, ნიკეას მე-2 შეს. N2, სოლომონ 1-ის N4, ახალგაზრდობის გამზ. მე-5 შეს. N15ა, ი. ჭავჭავაძის N34, ი. ჭავაჭავაძის N25, აღმაშენებლის N41, ხუნდაძის N54, რუსთაველის გამზ. N85, ლესელიძის N3 – 88,7 ათასი ლარი.

5. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია

დასრულებულია:

თაბუკაშვილის N199, თაბუკაშვილის N217 (მე-2 სად.), სულხან-საბას N75, ხარებავას N22 და ხარებავას N9ბ. საბოლოო ანაზღაურება - 10.4 ათ.ლარი (2022 წლის ვალდებულება).

ხარაბევას N3; ზ. ჭავჭავაის N30, კ. მესხის N1ა, ავტომშენებლის N30, ხარებავას N20/1, ჭავჭავაძის N28, ი. ჭავჭავაძის N24 (ქსელის რეაბილიტაცია), ი. ჭავჭავაძის N24 (ჭების რეაბილიტაცია), ი. ჭავჭავაძის N26, სულხან-საბას გამზ. N49, წერეთლის N98, ლეონიძის N1, ბალანჩივაძის N2/6, ნიკეას მე-2 შეს. N2, თაბუკაშვილის N30 – 57,9 ათასი ლარი.

6. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია

დასრულებულია:

ბუხაიძის ქუჩის N3 ბინის მე-4 სადარბაზოს და მუსხელიშვილის ქუჩის N3 ბინის მე-4 სადარბაზოს რეაბილიტაციია - 2.8 ათასი ლარი (2022 წლის ვალდებულება).

ზ. გამსახურდიას ქ. N15-ში 1,2,3 სადარბაზოების რეაბილიტაცია - 72.2 ათასი ლარი (2022 წლის ვალდებულება).

ლეჟავას N14-ში 1-ლი და მე-2 სადარბაზოების რეაბილიტაცია - 6,8 ათასი ლარი.

მიმდინარეობს:

ლ. ასათიანის N119/2 (1,2,3), რ. თაბუკაშვილის ქ. N183 (2,3), სულხან-საბას გამზ. N21 (1) და დუმბაძის ქ. N2/3 (2) სადარბაზოების რეაბილიტაციას ღირებულებით 148,0 ათასი ლარი. შუალედურად ანაზღაურებული თანხა 43,6 ათასი ლარი.

ჯავახიშვილის N8 (2), ხარებავას ქ. N11 (1,2), ხარებავას ქ. N5ბ (1), ახალგაზრდობის I შეს. N14 (1,2,3), აღმაშენებლის N1 (4), ბერაძის N1 (1) და ავალიანის N21 (1) სადარბაზოების რეაბილიტაცია ღირებულებით 145,0 ათასი ლარი. შუალედურად ანაზღაურებული თანხა - 65,9 ათასი ლარი.

ავტომშენებლის N38 (1,2), ტოლსტოის N4 (2), ტოლსტოის (1), მაისურაძის N9 (1,2), ონის N18 (1,2) და აღმაშენებლის N22 (5) - 151,3 ათასი ლარი (საქართველოს მთავრობის 26.04.2023 წლის N787 განკარგულება).

ახალგაზრდობის მე-5 შეს. N7 (1,2), ახალგაზრდობის მე-5 შეს. N15 (1,2), ზვ.გამსახურდიას გამზ. N21 (4), ბუახაიძის მე-2 მ/რნ. N25 (2), ჯავახიშვილის N49 (2,4), გელათის ქ.N2 (1,2,3,4) – 159,3 ათასი ლარი (საქართველოს მთავრობის 26.04.2023 წლის N787 განკარგულება).

ნიკეას მე-2 შეს. N7ა (2), ი. ჭავჭავაძის გამზ. N59 (2), წერეთლის N111 (2), აღმაშენებლის გამზ. N5 (1,2,3), ი. ჭავჭავაძის N15 (1) – 140,4 ათასი ლარი (საქართველოს მთავრობის 26.04.2023 წლის N787 განკარგულება).

შეწყდა:

დ. აღმაშენებლის N13 (1), ი. ჭავჭავაძის N3 (1), ჯავახიშვილის N2 (1,2,3,4), ჯავახიშვილის N8 (1), ჯავახიშვილის N10 (2,3), რუსთაველის N96 (3), აღმაშენებლის გამზ. N40 (1,2) – 172,1 ათასი ლარი. ანაზღაურებული თანხა 94,8 ათასი ლარი.

7. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სახეობის მასალის შეძენა-გადაცემა და დაზიანებული სახურავების (ბრტყელი, ქანობიანი) კაპიტალური შეკეთება

დასრულებულია:

17350 კვ. მ ჰიდროსაიზოლაციო მასალის, 4000 კვ.მ გოფრირებული და 3000 კვ. ფურცლოვანი თუნუქის მოწოდება - 215.7 ათასი ლარი.

მრავალბიანიანი საცხოვრებელი სახლების (ბრტყელი, ქანობიანი) კაპიტალური შეკეთება მისამართებზე: კ. მესხის N4 ; ცხინვალის მე-3 შეს. N3; მ. კოსტავას ქ. N55; ბუკიას ქ. N7ა; ზ. ჭავჭავაძის ქ. N2; ჯავახიშვილის 1-ლი შეს. N21; თაბუკაშვილის ქ. N119; ხუნდაძის N51ა; წერეთლის N276ა; ნიკეას ქ. N74; სულხან საბას გამზ. N65; ი. ჭავჭავაძის N56; მახვილაძის ქ. N15; ალ. ყაბეგის N36 და აღმაშენებლის N40/28 - 202,4 ათასი ლარი (2022 წლის ვალდებულება).

მრავალბიანიანი საცხოვრებელი სახლების (ბრტყელი, ქანობიანი) კაპიტალური შეკეთება მისამართებზე: ცახელის N7ა; ი. ჭავჭავაძის N64; კ. გამსახურდიას N58; მარჯანიშვილის ქ. N24; არაყიშვილის ქ. N3; ი. ბერაძის ქ. N3; დადიანის ქ. N55 და სულხან-საბას გამზ. N65. 2023 – 155,6 ათასი ლარი (2022 წლის ვალდებულება).

მრავალბიანიანი საცხოვრებელი სახლების (ბრტყელი, ქანობიანი) კაპიტალური შეკეთება მისამართებზე: ხარებავას N9; ავტომშენებლის N17; ი. ჭავჭავაძის N57-59; ბერაძის N7; ბერაძის N2; ბერაძის N4; ლომონოსოვის ქ. N2/3; თამარ მეფის ქ. N95; ი. ჭავჭავაძის N11 – 163,8 ათასი ლარი (2022 წლის ვალდებულება).

8. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარდაფებში დამდგარი წყლის ამოსატუმბი მოწყობილობების შესყიდვა-გადაცემა

დასრულებულია:

სარდაფში დამდგარი ფეკალური წყლის 40 ცალი ამოსატუმბი მოწყობილობის მოწოდება - 24.1 ათასი ლარი.

9. ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით თავისუფალი ინიციატივების განხორციელება

აღმაშენებლის N125-ში ფანჩატურის მოწყობა - 15.2 ათასი ლარი (2022 წლის ვალდებულება).

შეწყდა: წმინდა ნინოს ქ. N1,2,3 ეზოს შესასვლელი ჭიშკრის დამზადება-მონტაჟი - 4,5 ათასი ლარი.

2023 წელს საანგარიშო პერიოდში მიღებულია 100მდე მოქალაქე,ისინი მოგვმართავენ სხვადასხვა სახის პრობლემების მოგვარების მიზნით.მათი პრობლემის უმრავლესობა გადაწყვეტილია დადებითად ,ნაწილი კი მოგვარების პროცესშია.ყოველთვის ვცდილობ ჩვენამდე მოსულ ყველა ადამიანს გავუწიო დახმარება ჩემი კომპეტენციის ფარგლებში და ვეძიო გზები მოგვარებისთვის.

ქალაქში დაგეგმილ თითქმის ყველა ღონისძიებაში ვღებულობ მონაწილეობას,ვხვდები არასამთავრობო ორგანიზაციებს,მონაწილეობას ვიღებ მათ მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, ასევე ვარ ჩართული ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისა და მისი შერულების კონტროლის პროცესში.

რაც შეეხება ჩემს სამომავლო გეგმებს,მე,როგორც საკრებულოს წევრი და ფრაქცია ,,ქართული ოცნების'' თავმჯდომარის მოადგილე ნებისმიერი საქმიანობის პროცესში ჩემი

მთავარი პრიორიტეტები იქნება,იმ საჭირბოროტო საკითხების მოგვარება,რომელიც აწუხებს ჩვენს მოსახლეობას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნების''თავმჯდომარის მოადგილე

ბატონი **ჯემალ ბიბილეიშვილი**